სს “ნამახვანი”

# “ქუთაისი-ალპანა-მამისონი” საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების შესყიდვის

## საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და “კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი, 2015 წელი

# სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება....3
2. ტექნიკური დავალება....12
3. ხელშეკრულების პროექტი....20
4. დამატებითი ინფორმაცია....27
დანართი №1 აფიდავიტი....28
დანართი №2 რეკვიზიტები....29
დანართი №3 ხარჯთარღიცხვა....30

# 1. საკონკურსო განცხადება

## ინსტრუქცია კონკურსში მონაწილე პირებისთვის

სს "ნამახვანი" აცხადებს კონკურსს "ქუთაისი-ალპანა-მამისონი" საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:

1. შესყიდვის ობიექტი: "ქუთაისი-ალპანა-მამისონი" საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადება

2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება: შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **820 000 (რვაასოცდათასი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. დაფინანსების წყარო: საკუთარი სახსრები.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები: ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2015 წლის 30 ივნისისა.

5. კონკურსში მონაწილეობის საფასური: საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 191-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

| სააგენტოს ანგარიშის ნომერი, რომელზეც გადაიხდება საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასური | |
|---|---|
| მიმღების ბანკი: | ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი |
| ბანკის კოდი: | REPLGE22 |
| მიმღები: | ს.ს.ი.პ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო |
| მიმღების ანგარიშის № | GE52BR0000010591718543 |

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

*შენიშვნა: საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან წინამდებარე დოკუმენტის*

*მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, მონაწილე პირის საკონკურსო დოკუმენტაცია ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.*

<u>6. საკონკურსო წინადადების მიღება:</u> კონკურსანტებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2 (ორი) დალუქული კონვერტით:

1. **ფინანსური წინადადების კონვერტი**, რომელშიც იქნება განთავსებული საკონკურსო წინადადების ფასი (პუნქტი 10.1), მე-10 პუნქტის 10.3 და 10.4 პუნქტებით გათვალისწინებული დანართები №2 და №3;

2. **ტექნიკური დოკუმენტაციის კონვერტი**, რომელშიც იქნება განთავსებული მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, დამოწმებული აფიდავიტის ფორმა (დანართი №1) და მე-10 პუნქტის 10.5 დან 10.8. პუნქტების ჩათვლით გათვალისწინებული ინფორმაცია.

კონვერტები წარმოდგენილ უნდა იქნას ცალ-ცალკე პაკეტებად, **2015 წლის 27 თებერვლის 10:00 დან 18:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის №8, მე-4 სართული, სს "ნამახვანი".

<u>7. საკონკურსო წინადადებების გახსნა:</u> საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დალუქული ტექნიკური დოკუმენტაციის პაკეტების გახსნა მოხდება **2015 წლის 26 თებერვალს 15:00 საათზე**, ხოლო ფინანსური წინადადებების პაკეტები შეინახება დალუქულ მდგომარეობაში პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასებამდე.

<u>8. დაგვიანება/დარღვევა:</u> ამ განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნების დარღვევით, აგრეთვე დაგვიანებით წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

<u>9. საკონკურსო წინადადებების მოქმედების ვადა:</u> საკონკურსო წინადადება ძალაშია კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

<u>10. საკონკურსო წინადადების შემადგენლობა:</u>

დალუქული პაკეტით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

10.1. **საკონკურსო წინადადების ფასს** (ციფრობრივად და სიტყვიერად). საკონკურსო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში და უნდა შეიცავდეს დღგ-ს.

10.2. **აფიდავიტს** (დანართი №1)

10.3. **რეკვიზიტებს** (დანართი №2)

10.4. **ხარჯთაღრიცხვას** (დანართი №3).

10.5. **ინფორმაციას მომსახურების გასაწევად საჭირო მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის შესახებ:**

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, გეოდეზური მოწყობილობები, საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოებისათვის შესაბამისი ტექნიკა, კომპიუტერული ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა შესაბამისი მოწყობილობა.

მოთხოვნილი დანადგარები, აპარატურა და ხელსაწყოებია:

| № | მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | გეოდეზიური მოწყობილობები:<br>• GPS (ბაზური) 1 სმ სიზუსტის მახასიათებლით<br>• GPS (გადასაადგილებადი) 1 სმ სიზუსტის მახასიათებლით<br>• ელექტროტაქეომეტრი<br>• ნიველირი | <br>2<br>4<br>4<br>4 |
| 2 | საინჟინრო-გეოლოგიური მოწყობილობა:<br>• გეოლოგიური საბურღი მანქანა<br>• გრუნტის სტატიკური და დინამიკური ტესტების ჩასატარებელი მოწყობილობა (CBR)<br>• გეოლოგიური ლაბორატორია | <br>2<br>1<br>1 |
| 3 | გასამრავლებელი მოწყობილობა:<br>• პრინტერი A-3<br>• პლოტერი A-0 | <br>2<br>1 |
| 4 | მაღალი გამავლობის სატრანსპორტო მსაშუალებები | 4 |

| | | |
|---|---|---|
| 5 | ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა:<br>• საგზაო პროგრამა<br>• ხიდების კონსტრუქციების საანგარიშო პროგრამა<br>• ხელოვნური ნაგებობების საანგარიშო პროგრამა | <br>1<br>1<br>1 |

ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| № | მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის დასახელება | აღწერილობა | მოდელი, ტიპი და მარკა. | გამოშვების წელი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი) | მფლობელობის, საკუთრების ან სარგებლობის ფორმა (საკუთრება, იჯარა) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | | | |
| 2 | | | | | | | |
| 3 | | | | | | | |
| ა. შ. | | | | | | | |

*შენიშვნა: წარმოდგენილ იქნას საკუთრების/ფლობის/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულება ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.*

10.6. **ინფორმაციას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, კერძოდ იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც უშუალოდ შეასრულებს შესასყიდ სამუშაოებს და რომელიც იღებს ტექნიკურ გადაწყვეტილებებს.**

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა ჰყავდეს წარმოდგენილი ის ძირითადი სპეციალისტები, რომლებიც მოთხოვნილია ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით. ამასთან, მათ უნდა გააჩნდეთ კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების გაწევის არანაკლებ 10-20 წლიანი გამოცდილება ქვემოთ მოცემულის შესაბამისად:

| № | დასახელება | რაოდენობა | ანალოგიურ სამუშაოზე მუშაობის სტაჟი |
|---|---|---|---|
| 1 | გუნდის ხელმძღვანელი – გზების ან ნაგებობების ინჟინერი | 1 | 20 |
| 2 | საგზაო ინჟინერი | 1 | 15 |
| 3 | ხიდების და ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი | 1 | 15 |
| 4 | გვირაბის ინჟინერი | 1 | 15 |
| 5 | ინჟინერ-გეოლოგი | 1 | 15 |
| 6 | ჰიდროლოგი | 1 | 15 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | ეკონომისტ-ფინანსისტი (ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი) | 1 | 10 |
| 8 | სოციალური საკითხების სპეციალისტი (განსახლების სფერო) | 1 | 10 |
| 9 | გეოდეზისტი | 1 | 10 |

ინფორმაცია ძირითადი სპეციალისტების შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

| თანამდებობა, სპეციალობა | სახელი, გვარი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება | ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით. ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება კონკრეტული ობიექტების მითითებით, დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია) |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| ა.შ. | | | | |

გუნდში, ასევე, უნდა იყვნენ წარმოდგენილნი არაძირითადი სპეციალისტები, კერძოდ: პროგრამისტები, თარჯიმნები (ტექნიკური ტერმინოლოგიის ცოდნით) და სხვა. არაძირითად სპეციალისტთა *შესახებ საკმარისია მხოლოდ რეზიუმეების (CV) წარმოდგენა.*

10.7. **ინფორმაციას შესყიდვაში მონაწილე პირის გამოცდილების შესახებ:** მოწოდებული ინფრომაცია უნდა შეიცავდეს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ უკანასკნელი 3 (სამი) (2012-2013-2014 წ.წ) წლის განმავლობაში გაწეული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების გამოცდილების შესახებ, მათ შორის მინიმუმ ერთი დასრულებული პროექტი.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი 3 (სამი) (არამიმდინარე) წლის განმავლობაში ერთ-ერთ წელს მაინც უნდა ჰქონდეს შესრულებული არანაკლებ 80 მლნ. ლარის ღირებულების ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამშენებლო სამუშაოებისათვის საპროექტო მომზადების ან ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის მომსახურება. აღნიშნული გაწეული მომსახურების ღირებულება არ უნდა იყოს საკონკურსო ფასზე ნაკლები (820 000 ლარი.)

უშუალოდ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის (ქვეკონტრაქტორის გარეშე) გამოცდილება და ზ/ა შემოსავალი ანალოგიურ სამუშაოებზე უნდა შეადგენდეს კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური სამუშაოების საერთო გამოცდილების არანაკლებ 80%-ს.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-

ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა).

ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

| № | მომსახურების დასახელება<br><br>(თითოეული ობიექტის დასახელებით) | მომსახურების პერიოდი | შემსყიდველის/ დამკვეთის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება<br><br>(ცალ-ცალკე სამშენებლო და საპროექტო ღირებულებები) | ფაქტიურად გაწეული (ჩაბარებული) სამუშაოს ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| და<br><br>ა.შ. | | | | | |

*შენიშვნა: წარმოდგენილ იქნას ხელშეკრულებების ასლები და ფაქტიურად გაწეული მომსახურების (ცალ-ცალკე სამშენებლო და საპროექტო) მიღება-ჩაბარების აქტები ან ინვოისები, სადაც ნათლად ჩანს გაწეულის სამუშაოს სახე და ღირებულება. თუ ნებისმიერი დოკუმენტი საშუალებას უნდა იძლეოდეს მოხდეს იდენტიფიკაცია, თუ რომელი ხელშეკრულების შესაბამისად რომელი სამუშაო შესრულდა და რა ღირებულების.*

10.8. **ინფორმაციას ქვეკონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ.** ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) ქვეკონტრაქტორის დასახელება და მისამართი;

ბ) გასაწევი მომსახურების დასახელება;

გ) ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება. წარმოდგენილ იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვეკონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური მომსახურება, თანხების და შესრულების ვადების მითითებით. წარმოდგენილ უნდა იქნას ასევე ამ ობიქტებზე ხელშეკრულებების ასლები და მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები – მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა.

ინფორმაცია ქვეკონტრაქტორების შესახებ წარმოდგენილ იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

| ქვეკონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | გასაწევი მომსახურების დასახელება | ქვეკონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება – შესრულებული მომსახურება |
|---|---|---|
| | | |
| | | |

ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

11. <u>ალტერნატიული წინადადებები:</u> კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

12. <u>ღირებულების გადაჭარბება:</u> საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (820 000 ლარი) არ განიხილება.

13. <u>ენა და ხელმოწერა:</u> საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. ხელმოწერის გარეშე წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება. ამასთან დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

## 14. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

კონკურსანტის წინადადებების შეფასება ხდება ქულების მინიჭების გზით, კერძოდ:

| | | | |
|---|---|---|---|
| კონკურსანტის გამოცდილება | | | 0,7 |
| მათ შორის: | ტექნიკური აღჭურვილობა | 0,1 | |
| | კონკურსანტი კომპანიის გამოცდილება | 0,25 | |
| | ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოცდილება | 0,35 | |
| საკონკურსო წინადადების ფასი | | | 0,3 |

შეფასება განხორციელდება 10-ბალიანი სისტემით, შემდეგი წესით:

თავდაპირველად შეფასდება კონკურსანტის გამოცდილება (ტექნიკური ნაწილი). საკონკურსო კომისიის თითოეული წევრი მიანიჭებს კონკურსანტს გარკვეულ ქულას. შემდეგ დაანგარიშდება კომისიის წევრთა მიერ შეფასებული ქულების საშუალო არითმეტიკული, რომელიც დაფიქსირდება საკონკურსო კომისიის სხდომაზე და ამის შემდეგ კონკურსანტების თანდასწრებით გაიხსნება კონკურსანტების ფასები.

ყველაზე დაბალი ფასის მქონე საკონკურსო წინადადება შეფასდება მაქსიმალური 3 ქულით, ხოლო დანარჩენები კონკურსანტების ფინანსური ნაწილი შეფასდება ფასების მიხედვით უკუპროპორციულად ყველაზე დაბალ ფასთან მიმართებაში.

გამარჯვებულად ჩაითვლება იმ კონკურსანტის საკონკურსო წინადადება, რომელიც ტექნიკური და ფინანსური ნაწილის შეფასების შედეგად დააგროვებს ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას.

ის კონკურსანტები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ საკონკურსო წინამდებარე განცხადების მე-10 მუხლის 10.5-10.8. პუნქტებით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დისკვალიფიცირებულნი იქნებიან კონკურსიდან და კონკურსის დასრულების შემდეგ, მათ უკან დაუბრუნდებათ ფინანსური წინადადების პაკეტები გაუხსნელად.

15. <u>ანგარიშსწორების პირობები:</u>

15.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

15.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით;

15.3. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) წესი განისაზღვრება ხელშეკრულების პროექტით განსაზღვრული პირობებით.

16. <u>ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:</u>

16.1. კონკურსში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით, დანართი №4-ის მიხედვით.

*შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურსში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 6%-დან 10%-მდე ოდენობით.*

16.2. თუ გამარჯვებული ხელშეკრულების დადებამდე არ წარმოადგენს ზ/ა გარანტიას, შემსყიდველს უფლება ექნება მოახდინოს მისი დისკვალიფიკაცია და მიმართოს მის შავ სიაში შეყვანის პროცედურებს.

16.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

# 2. ტექნიკური დავალება

## ქუთაისი-ალპანა-მამისონი საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადება

### I. ზოგადი მოთხოვნები

1. წინამდებარე ტექნიკური დავალება აღწერს კონსულტანტის მიერ განსახორციელებელ მომსახურეობას, დავალების მიზნებს, მისი შესრულებისათვის საჭირო სამოქმედო პრინციპებს, საშუალებებსა და ძირითად საბაზისო მონაცემებს.

2. დავალება ითვალისწინებს ნამახვანის ჰესების კასკადის დატბორვის შედეგად საჭირო ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის ახალი ალტერნატიული გზის, ჰესის მშენებლობისათვის საჭირო შიდა გზებისა და დასახლებულ პუნქტებამდე მისასვლელი გზების ტექნიკურ-ეკონომიკური (feasibility study) მომზადებას.

3. კონსულტანტი ვალდებულია:
   (i) განიხილოს, შეისწავლოს და გაანალიზოს საპროექტო მონაკვეთზე არსებული გზის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური და ზოგადი სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მახასიათებლები და მონაცემები.
   (ii) შეიმუშაოს საპროექტო გზის მიმართულების შერჩევისათვის რამოდენიმე (შეზღუდული არ არის) შესაძლო ვერსია, რომელთაგან განიხილავს და გაანალიზებს მათ შორის 2-3 უკეთესს ვერსიას, მათი ეკონომიკური შეფასებისა და ტექნიკური პარამეტრების შედარებების თვალსაზრისით.
   (iii) მოამზადოს განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი (RPF), სადაც უნდა გაითვალისწინოს ის პრინციპები და მეთოდები, რომელიც ასახულია მსოფლიო ბანკის განსახლების საოპერაციო სახელმძღვანელოს ზოგად მოთხოვნებში.
   (iv) შერჩეული უკეთესი ვარიანტები განიხილოს დასაკავებელი მიწებისა და განსახლების საკითხების გათვალისწინებითაც, ვერსიების ამ კუთხით შედარების შესაძლებლობის მიზნით.
   (v) საბოლოოდ შერჩეულ რამოდენიმე ვერსიას შორის, თავისი შეფასებებისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანალიზებაზე დაყრდნობით წარუდგინოს დამკვეთს მის მიერ რეკომენდირებული ერთი საუკეთესო ვერსია გზის კონკრეტული მიმართულების მიხედვით.
   (vi) საბოლოოდ შერჩეული ალტერნატივა დაამუშავოს სატენდერო დიზაინის დონეზე, რომელიც გულისხმობს დეტალური პროექტის შემუშავებისათვის საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებულ ყველა საჭირო ტექნიკურ დოკუმენტაციას, კვლევებს და დეტალურ ხარჯთაღრიცხვას.
   (vii) განსაზღვროს საპროექტო გზის მთლიანი მონაკვეთის სექციებად დაყოფის საჭიროება და შესაძლებლობები (მ.შ. გვირაბის არსებობის შემთხვევაში შესაძლოა ცალკე სექციად იქნას წარმოდგენილი), ისევე როგორც სექციების მიხედვით საგზაო-სამშენებლო სამუშაოთა ეტაპები და მათი რიგითობა.

## II. შესავალი და მოკლე მიმოხილვა

სს "ნამახვანი" დაფუძნდა 2012 წელს, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივს განხორციელების მიზნით, რაც გულისხმობს ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტირებასა და მშენებლობას.
პროექტი ითვალისწინებს ორი, ტვიშისა და ნამახვანი-ჟონეთის ჰიდროელექტროსადგურისგან შემდგარი ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობას და ექსპლუატაციას. პროექტის ტერიტორია გადანაწილებულია ცაგერისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიროტიაზე.
კასკადის ჯამური დადგმული სიმძლავრე დღეს არსებული პროექტით შეადგენს 410 მგვტ-ს, ხოლო სრული საანგარიშო წლიური გამომუშავება – 1,56 მილიარდ კვტ.სთ-ს.
პროექტის განხორციელება მოითხოვს ქუთაისი-ალპანა-მამისონი საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის ალტერნატიული, დაახლოებით 30კმ, გზის მშენებლობას.

## III. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და შერჩეული ალტერნატივის სატენდერო დიზაინი

1. კონსულტანტმა, მომსახურეობის პირველ სტადიაზე უნდა განიხილოს, შეისწავლოს და გაანალიზოს არსებული გზის ძირითადი მახასიათებელი მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ გზის არსებულ პარამეტრებს და მის მდგომარეობას. მოიპოვოს და შეაგროვოს საბაზისო მონაცემები და ინფორმაციები, რომელთა მიხედვით უნდა გაანალიზოს არსებული საავტომობილო გზის სატრანსპორტო-საექსპლოატაციო პირობები და მოახდინოს მისი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება. აღნიშნულ მონაცემებსა და ანალიზებზე დაყრდნობით კონსულტანტი შეაფასებს საპროექტო მონაკვეთის გზის პარამეტრების გაუმჯობესების მიზანშეწონილობას, მის აუცილებლობას, სექციებად დაყოფისა და მისი ეტაპობრიობის გათვალისწინებით.

2. კონსულტანტი, ვალდებულია კვლევის შემდგომ ეტაპზე ნამახვან ჰესების კასკადის საპროექტო მონაცემების გათვალისწინებით განიხილოს, შეისწავლოს, ადგილზე განსაზღვროს და შეიმუშაოს საპროექტო გზის მშენებლობის მიმართულების ყველა შესაძლო ვერსია (მ.შ. გვირაბის ვარიანტი), სადაც ტექნიკურ-ეკონომიკური შედარებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს:

    2.1. საპროექტო ტრასის მიმართულებები და ტექნიკური პარამეტრები და რეკომენდირებული საპროექტო სტანდარტები და მოთხოვნები;
    2.2. დასაკავებელი მიწების (გზის განთვისების ზოლში) ოდენობა, მათი სახეობა, დანიშნულებები და სხვა მახასიათებლები (შენობა-ნაგებობები, ხეხილი, ბიზნესაქმიანობა და ა.შ.);
    2.3. საპროექტო გზის განთვისების ზოლში მოხვედრილი მოსახლეობისათვის, მათი ქონების გამოსყიდვისა და განსახლების ქმედებებისათვის საჭირო ზომები და მისი ზოგადი შეფასებები, დაახლოებითი ღირებულებები (მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკის OP 4.12 ინსტრუქციით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით);
    2.4. დასახლებული პუნქტების სიახლოვე, მოსახლეობის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე შეღწევადობის შესაძლებლობები, შესაბამისად განსაზღვროს სატრანსპორტო კვანძების აუცილებლობები, მათი საჭიროება, სახეობა და ოდენობა.
    2.5. საპროექტო გზის მიმართულებების შერჩევისას გზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები, რათა არა მხოლოდ ტრანსპორტისათვის იქნას შექმნილი მოძრაობისათვის გაუმჯობესებული პირობები და კომფორტული ვითარება, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც იქნას ახალი გზის მშენებლობა მოსაწონი და სარგებლიანი, რამაც ასევე ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და მათი საქმიანობის გაუმჯობესებას;

2.6. საშუალო და დიდი მოცულობის ხელოვნური ნაგებობების საჭიროება (როგორიც არის ხიდები, გვირაბები, გზაგამტარები, დიდი ზომის წყალარიდების მილები, საყრდენი კედლები და სხვა ნაგებობები). მათი ადგილმდებარეობები, ზომები, გაბარიტები, კონსტრუქციული მოწყობა და სხვა ძირითადი მაჩვენებლები;

2.7. მნიშვნელოვანი კომუნიკაციები, რომლებიც შესაძლოა კვეთდეს და/ან ახლოს მდებარეობდეს საპროექტო გზასთან, რის გამოც საჭირო იყოს მათი გადატანა და მოწყობა (საირიგაციო სისტემები, მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზები, გაზის, ნავთობისა და წყლის მილსადენები და სხვა);

2.8. საპროექტო ტრასის თითოეული ვერსიის მიმართულებით არსებული ზოგადი გეოლოგიური და ჰიდროლოგიური აღწერა, გრუნტების დახასიათება, კრიტიკული გეოფიზიკური ადგილებისა და მათი მასშტაბების განსაზღვრით. (მაგ. მეწყრული ფერდობები, მცოცავი ან გაჯერებული გრუნტები და ა.შ.);

3. 2.2–2.5 პუნქტებში მოთხოვნილი ინფორმაციის დეტალურობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მოთხოვნას სკრინინგისა და სკოპინგის ეტაპისათვის და საშუალებას უნდა იძლეოდეს შედარებულ იქნას ალტერნატიული მარშრუტების მიზანშეწონილობა განსახლების საკითხების თვალსაზრისით.

4. შემუშავებული რამოდენიმე ვერსიის შედარებისა და მათი ზოგადი შეფასებების მიხედვით (ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი) კონსულტანტი შეარჩევს 2-3 უპირატეს და უკეთეს ვერსიას.

5. საბოლოო ეტაპზე, კონსულტანტი შერჩეულ საუკეთესო ვერსიებს შორის რეკომენდაციას გაუწევს ტრასის ყველაზე მისაღებ და ოპტიმალურ მიმართულებას. ეს რეკომენდაცია დაფუძნებული უნდა იქნას დეტალურ ტექნიკურ გათვლებზე, მის ეკონომიკურ სარგებლიანობასა და ეფექტურობაზე. ასევე, სოციალურ, გარემოსდაცვით და განსახლებასთან დაკავშირებულ შეფასებებზე და საგზაო სამუშაოების ეტაპობრივად (სექციებად) განხორციელების შესაძლებლობებზე, მათი ღირებულებებისა და რიგითობის გათვალისწინებით, სატენდერო დიზაინის დონეზე.

6. დავალებით განსაზღვრული საკითხების განხორციელების მიზნით კონსულტანტი ვალდებულია:

6.1. საპროექტო გზის ყველა შესაძლო მიმართულებაზე ადგილზე (ველზე) გაიაროს, შეისწავლოს, აღწეროს და გაანალიზოს. ძირითად მახასიათებელ და „კრიტიკულ“ მონაკვეთებზე, (მ.შ. საჭიროების შემთხვევაში დიდ და მნიშვნელოვან ხელოვნურ ნაგებობებზე) მოახდინოს შესწავლა გეოდეზიური ინსტრუმენტების მეშვეობით;

6.2. საპროექტო ტრასის ყველა შესაძლო მიმართულებით მოიპოვოს საველე მასალები და შეასრულოს ზოგადი გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და ჰიდროლოგიური დახასიათება და აღწერა. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს არამდგრად გრუნტებზე, მეწყერულ მონაკვეთებზე, სეისმურ რღვევებზე და სხვა გეოლოგიურად მნიშვნელოვან ფაქტორებზე;

6.3. მოახდინოს საპროექტო გზის ყველა შესაძლო მიმართულების გასწვრივ და მიმდებარედ არსებული დასახლებული პუნქტების აღწერა, დახასიათება, მოსახლეობის ძირითადი საქმიანობის, მოსახლეობის რაოდენობის და სხვა საჭირო სოციალური საკითხების გაანალიზება;

6.4. განიხილოს საპროექტო გზის ყველა შესაძლო მიმართულების მიმდებარედ არსებული დასახლებული პუნქტებიდან ახალ გზაზე შეღწევადობის შესაძლებლობა, შესაბამისად გაითვალისწინოს ყველა საშუალო და დიდ დასახლებულ პუნქტებზე სატრანსპორტო კვანძების მოწყობა.

6.5. მაქსიმალურად უზრუნველყოს არსებული ბუნებრივი ლანდშაფტის შენარჩუნება, გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალურად გათვალისწინებით და შესაბამისად საინჟინრო ნაგებობების (ხიდები, ვიადუკები, ესტაკადები, გვირაბები და სხვა) მშენებლობის ხარჯზე მიზნის მიღწევა;

6.6. მნიშვნელოვანი კომუნიკაციების მიერ გზის გადაკვეთის და/ან მასთან დაახლოების შემთხვევებში, რუქებზე დატანილი უნდა იქნას აღნიშნული კომუნიკაციები, საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მათი დემონტაჟისა და გადატანის

კონსტრუირების სქემები და გათვალისწინებული უნდა იქნას მათი სავარაუდო ღირებულებები;

6.7. საპროექტო გზის განთვისების ზოლში მოხვედრილი მიწის ფართობებისა და მიწების სახეობების განსაზღვრა (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების თუ სხვა);

6.8. დაიტანოს გადიდებული მასშტაბის აეროფოტორუკებზე გზის განთვისების ზოლები, შეასრულოს შესაბამისად ზემოქმედების ზოლში მოხვედრილი ქონების დაახლოებითი აღწერა (ძირითადი შენობა-ნაგებობები, სავარგულიანი მიწები, ნათესები, ხეხილი და ა.შ.), მათზე მაცხოვრებელი მესაკუთრეთათვის განსახლებისა და გამოსყიდვისათვის საჭირო სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრით.

*შენიშვნა: აღნიშნული გაანგარიშებები უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ რეგიონში მიწებისა და სხვა ქონების საბაზრო ფასებს, რაც კონსულტანტმა უნდა დაადგინოს ფასების შესწავლისა და გამოკითხვის საშუალებით ან დაეფუძნოს დამოუკიდებელი აუდიტორის მონაცემებს.*

6.9. დაიტანოს შერჩეული საპროექტო გზის ყველა მიმართულება, ძირითადი სატრანსპორტო კვანძებისა და დიდი ხელოვნური ნაგებობების მინიშნებით (გვირაბები, ხიდები, დიდი საყრდენი კედლები და ა.შ.), როგორც აეროფოტორუკებზე, ისე გეოგრეფიულ რუკებზე, მასშტაბით არაუმეტეს 1:5000, რასაც თან უნდა ახლდეს თითოეული მიმართულების მიხედვით ძირითადი ტექნიკური დახასიათებები და განმარტებები; საჭიროებისამებრ შეადგინოს რუკები ძირითადი ნაგებობებისათვის მასშტაბით 1:2000 ან 1:1000.

6.10. შეასრულოს საპროქტო გზის შერჩეული ვერსიების ეკონომიკური ეფექტურობის ანალიზი, მისი ხარჯ-სარგებლიანობის ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით;

6.11. წარმოადგინოს გზის სამოსის სქემატური კონსტრუქცია, რეკომენდირებული კონსტრუქციული ფენების ჭრილით;

6.12. თვითონ მოიძიოს და მოიპოვოს საპროექტო მონაკვეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიების აეროფოტორუქები და საჭირო გეოგრაფიული რუქები ყველა მისთვის აუცილებელ მასშტაბში;

6.13. საყრდენი გეოდეზიური წერტილები განსაზღვრული უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი მუდმივმოქმედი რეფერენსული GPS სტაციონალური სადგურების ქსელში. ეს წერტილები განლაგებული უნდა იყოს ყოველ 500 მ-ში ტრასის მიმართულებით წყვილად. წყვილებს შორის მანძილი განისაზღვროს არანაკლები 200 მეტრით და აუცილებელია მათ შორის იყოს თავისუფალი მხედველობის არე. სიმაღლის განსაზღვრისათვის გამოყენებული უნდა იქნას III კლასის სანიველირო ქსელის რეპერების მონაცემები, ბალტიის ზღვის სიმაღლეთა სისტემაში, საიდანაც გზის პროექტირებისათვის საყრდენ გეოდეზიურ წერტილებზე სიმაღლის გადმოტანა მოხდეს III კლასის ნიველობის სიზუსტით. ტოპო-გეოდეზიური სამუშაოები უნდა ჩატარდეს UTM WGS84 Zone 38 North კოორდინატთა სისტემაში.

*შენიშვნა: ამ საბაზისო მასალების მიღება შესაძლებელია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.*

6.14. ჩაატაროს შესაბამისი გეოლოგიური (გეოტექნიკური და გეოფიზიკური) კვლევები, განსაკუთრებით გვირაბების, ხიდებისა და გზაგამტარების ტერიტორიაზე, სამშენებლო რეგულაციებით და სტანდარტებით გათვალისწინებული მოცულობით.

6.15. გამოიკვლიოს კარიერებისა და ნარჩენების უტილიზაციის ლოკაციები.

6.16. მეწყერებისა და ნატანის კუთხით შეისწავლოს ახალი გზის და ჰესის რეზერვუარის ურთიერთგავლენა.

## IV. პროექტირების მომსახურეობის გრაფიკი, ანგარიშების წარმოდგენის ვადები და ადამიანური რესურსები

1. კონსულტანტი ვალდებულია:
   1.1 ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 10 დღისა, დაიწყოს სამუშაოების შესრულება და ამ ვადის გასვლამდე წარმოადგინოს დამკვეთთან მომსახურეობის სამუშაო გრაფიკს, ეტაპებისა და ანგარიშების წარმოდგენის ვადების მითითებით;
   1.2 ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 50 დღისა წარმოადგინოს წინასწარი მოსაზრებები, საპროექტო გზის სავარაუდო მიმართულებების ყველა შესაძლო ვერსიებით და მათი მოკლე დახასიათებებით (ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით);
   1.3 წინასწარი მოსაზრებების დამკვეთთან განხილვისა და მათი კომენტარებისა და შენიშვნების გათვალისწინებით კონსულტანტი ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან 105 დღეში წარმოადგინოს პირველადი ანგარიში, სადაც განსაზღვრული და შერჩეული იქნება სხვადასხვა ვერსიებს შორის 2-3 უკეთესი ვერსია, შესაბამისი ზოგადი ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ანალიზებისა და შედარებების საფუძველზე;

*შენიშვნა: პირველადი ანგარიში განიხილება დამკვეთის მიერ სავარაუდოდ 10-15 დღის ვადაში.*

   1.4. საბოლოო ანგარიშის წარმოდგენა მოხდება არაუგვიანეს 4.5 თვისა, ხელშეკრულების გაფორმებიდან;
2. კონსულტანტისთვის რეკომენდირებულია იქონიოს მჭიდრო სამუშაო კონტაქტები და კონსულტაციები დამკვეთთან, ძირითადი და საკვანძო საკითხების გაანალიზებისა და გადაწყვეტის პროცესში. კონსულტანტი ვალდებულია გაითვალისწინოს დამკვეთის კომენტარები და შენიშვნები და შეიტანოს შესაბამის ანგარიშებში სათანადო კორექტივები, ხელშეკრულების ვადის საბოლოო ამოწურვამდე.
3. კონსულტანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ანგარიშები წარმოდგენილ უნდა იქნას დამკვეთთან შეთანხმებულ ვადებში როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე(ასევე ელექტრონული ვერსიები), რისთვისაც კონსულტანტმა წინასწარ უნდა იზრუნოს.
4. ანგარიშების რაოდენობა:

<u>პირველადი ანგარიშები:</u>

- ქართული – 2 ეგზემპლიარი + 1 ელ. ვერსია;
- ინგლისური – 2 ეგზემპლიარი + 1 ელ. ვერსია.

<u>საბოლოო ანგარიშები:</u>

- ქართული – 10 ეგზემპლიარი + 10 CD;
- ინგლისური – 10 ეგზემპლიარი + 10 CD;

5. კონსულტანტი ვალდებულია ჰქონდეს კარგი გამოცდილება მაღალმთიან პირობებში საავტომობილო გზების პროექტირებაში, წინასწარი საპროექტო კვლევების, ეკონომიკური და ფინანსური ანალიზების, სოციალური (განსახლების) და მათი გაანგარიშების თვალსაზრისით.
6. კონსულტანტს უნდა ჰყავდეს ძლიერი და გამოცდილი სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული გუნდი, რომლებიც ადგილზე (ველზე) და ძირითადში საქართველოში განახორციელებენ მომსახურეობისა და დავალებების შესრულებებისათვის საჭირო საინჟინრო საქმიანობას, რისთვისაც, როგორც მინიმუმ აუცილებელია ჰყავდეთ:

1) გუნდის ხელმძღვანელი – საგზაო/ნაგებობების ინჟინერი - არანაკლებ 20 წლიანი გამოცდილებით;
2) საგზაო ინჟინერი – არანაკლები 15 წლიანი გამოცდილებით;
3) ხიდებისა და ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი – არანაკლები 15 წლიანი გამოცდილებით;
4) გვირაბების იჟინერი - არანაკლები 15 წლიანი გამოცდილებით;
5) იჟინერ-გეოლოგი – არანაკლები 15 წლიანი გამოცდილებით;
6) ჰიდროლოგი – არანაკლები 15 წლიანი გამოცდილებით;
7) ეკონომისტ/ფინანსისტი (ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი) – არანაკლები 10 წლიანი გამოცდილებით;
8) სოციალური საკითხების სპეციალისტი (განსახლების საკითხი) – არანაკლები 10 წლიანი გამოცდილებით;
9) გეოდეზისტი – არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილებით;
10) ასევე გუნდში უნდა იყვნენ ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი, პროგრამისტები, თარჯიმნები (ტექნიკური ტერმინოლოგიის ცოდნით) და სხვა დამხმარე პერსონალი.

7. დავალების შესრულების პროცესში კონსულტანტი ვალდებულია მთლიანი გუნდი, სრული შემადგენლობით იმყოფებოდეს ადგილზე (ველზე), საქართველოში არანაკლებ 4 თვისა ხელშეკრულების გაფორმებიდან.
8. ხელშეკრულების პირობების და ვადების დარღვევის შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები, რაც ხელშეკრულებაში იქნება ასახული (როგორც ანგარიშების ჩაბარების, მ.შ. საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის ვადების და შესრულებული მომსახურეობის ხარისხის დონის მიხედვით).

## V. გადახდის (სავარაუდო) პირობები

გადახდის სავარაუდო პირობებია:

- ავანსი – შეთანხმებით, არაუმეტეს 20%-სა;
- წინასწარი მოსაზრებების წარმოდგენის, მისი განხილვის და მისაღებად მიჩნევის შემდეგ დამკვეთის მხრიდან (შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით) გადახდილი იქნება სახელშეკრულებო თანხის 20%;
- პირველადი ანგარიშის წარმოდგენის, მისი განხილვის და მისაღებად მიჩნევის შემდეგ დამკვეთის მხრიდან – 30%;
- საბოლოო ანგარიშის სრულყოფილად წარმოდგენის და დამკვეთის მხრიდან მისი მისაღებად მიჩნევის შემდეგ – 30%;
- საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება დავალების სრულად შესრულების, ასევე დამკვეთის მიერ საბოლოოდ მოწონებისა (ექსპერტიზის ჩათვლით) და ყოველგვარი კორექტირების საჭიროების ამოწურვის შემდეგ (მაგრამ არაუგვიანეს 90 დღეში საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ).

## VI. საპროექტო გზის ძირითადი რეკომენდირებული საპროექტო და გეომეტრიული პარამეტრები და მოთხოვნები

1. საანგარიშო სიჩქარე - 40კმ/სთ;
2. გვირაბების, ხიდების და სხვა ხელოვნური ნაგებობების გაბარიტების ზომები უნდა იყოს "საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"-სა (2009წ.) და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ შედგენილი “საქართველოს ეროვნულ სტანდარტად დარეგისტრირებული სამშენებლო ნორმები და წესების ჩამონათვალში” მოცემული სტანდარტების შესაბამისი;
3. საგზაო საფარის კონსტრუქცია რეკომენდირებულია ასფალტბეტონის საფარიანი ტიპის გზა;

4. კონსულტანტი თავისუფალია მის არჩევანში საგზაო სამუშაოებში ახალი ტექნოლოგიების შემოთავაზებისა და დანერგვაში, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია დამკვეთის ქვეყანაში და მის მიმდებარე რეგიონებში, ისევე როგორც მეზობელ ქვეყნებში არსებული ტექნიკური პოტენციალი და შესაძლებლობები ახალი იდეების და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის თვალსაზრისით.

ტექნიკური დავალების დანართი A

## რეკომენდირებული სტანდარტები

რეკომენდირებულია და კონსულტანტი ვალდებულია წინასაპროექტო კვლევის განხორციელებისას გამოიყენოს და დაეფუძნოს:

- "საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები" (2009წ.);
- საქართველოში მოქმედი სამშენებლო წესები, ნორმები და სახელმწიფო სტანდარტები, რომლებიც მოცემულია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ შედგენილი "საქართველოს ეროვნულ სტანდარტად დარეგისტრირებული სამშენებლო ნორმები და წესების ჩამონათვალში";
- ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნას ამერიკის შეერთებული შტატების (AASHTO), დასავლეთ და ცენტრალური ევროპის მაღალგანვითარებული გზების ქსელის მქონე ქვეყნების სტანდარტები, როგორიც არის გერმანია, იტალია, საფრანგეთი.

*შენიშვნა:*

** თუ წარმოიშვა ზ/ა ნორმებისგან განსხვავებული დაშვების აუცილებლობა, სპეციფიური ნორმის გამოყენების, ან რომელიმე ნორმის შეზღუდვის საკითხი წინასწარ უნდა იქნას დამკვეთთან შეთანხმებული.*

*** მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას რომელიმე ერთი ქვეყნის სტანდარტები (და არა შერეული, რამოდენიმე ქვეყნის სტანდარტები).*

# 3. ხელშეკრულების პროექტი

## ხელშეკრულება

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

*წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება კონკურსის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის საკონკურსო წინადადების შესაბამისად.*

ერთის მხრივ, სს "ნამახვანი" (შემდგომში – "შემსყიდველი"/"მხარე"), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ჩაჩიბაიას სახით და მეორეს მხრივ, --- (შემდგომში "მიმწოდებელი"/"მხარე") წარმოდგენილი -------- ----------სახით,

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ --- წლის ---- შემსყიდველის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[2] მუხლის შესაბამისად გამოცხადებულ კონკურში გამარჯვებულად გამოვლინდა მიმწოდებელი, ვთანხმდებით შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება") საფუძველზე მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების დანართი #1-ში მოცემული სამუშაოები, ხელშეკრულების დანართ #2-ში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად შემდგომში „სამუშაო/სამუშაოები".

1.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს სამუშაოს შესაბამისი ღირებულება ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად.

### 2. მომსახურების გაწევის პირობები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო შეასრულოს ხელშეკრულების #1 დანართში მოცემული ვადების შესაბამისად.

2.2. სამუშაოს შესრულების ადგილია ქ. თბილისი, კ. ხეთაგუროვის #6.

2.3. ნებისმიერი ქვეკონტრაქტორის შესახებ მიმწოდებელი ვალდებულია მიიღოს შემსრულებლის წერილობითი ნებართვა.

## 3. გასაწევი მომსახურების ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3. მიმწოდებელს ევალება საფინანსო ინსტიტუტებთან და ინვესტორებთან, ასევე შემსყიდველის კონსულტანთან თანამშრომლობა ნებისმიერ, მის მიერ შესასრულებელ საკითხზე.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაოს მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. მიღება-ჩაბარების აქტები შედგება დანართი #1-ში მოცემული სამუშოების მიხედვით ---.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

## 6. ანგარიშსწორების წესი

6.1. სამუშაოების სრული ღირებულებაა ------- ლარი დღგ-ს ჩათვლით. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, შემდეგი წესით:

6.2. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი

ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

6.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 7. საავანსო და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების გარანტიები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების დადებიდან -- დღის ვადაში წარუდგინოს მიმწოდებელს საავანსო გარანტია. გარანტიის პირობები უნდა იყოს შემდეგი:

- გარანტი უნდა იყოს ლიცენზირებული ბანკი ან სადაზღვევო კომპანია;
- გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი;
- ბენეფიციარს უფლება ექნება მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს გარანტისგან უზრუნველყოფილი თანხა, ყოველგვარი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე;
- გარანტიის ვადამდე შეტყვეტის პირობები: ა) გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში, ბ) ბენეფიციარის მიერ გარანტირებულ უფლებებზე უარის თქმა და გარანტისთვის გარანტიის დაბრუნების შემთხვევაში;
- გარანტია გაიცემა ავანსად გადასახდელ სრულ თანხაზე;
- გარანტია უზრუნველჰყოფს ავანსის ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით გამოყენებას;
- ძალაში შედის გაცემისთანავევ და მოქმედებს ხელშეკრულების ვადის პროპორციულად.

7.2. საავანსო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხაა ავანსის სრული ოდენობა - სახელშეკრულებო ღირებულების -- %.

7.3. გარანტა თან დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7.4. გარანტიის შემსყიდველისთვის მიწოდების ვადის გადაცილება არ იმოქმედებს ხელშეკრულების ვადებზე.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულების დადებისას მიმწოდებელმა წარმოადგინა ხელშეკრულების შესრულების უპირობო და გამოუთხოვადი გარანტია საკონკურსო წინდადების დანართ #4-ის შინაარსის დაცვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ დარღვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობითან.

8.3 გარდა ზემოაღნიშნული პირგასამტეხლოსი, შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.5 პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 2 კვირისა.

8.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.8. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად გაქვითოს მიმწოდებლის მიერ მისთვის გადასახდელი ნებისმიერი თანხა, მის მიერ გადასახდელ ნებისმიერ თანხაში, ცალმხრივად, მიმწოდებლის თანხმობის გარეშე.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია დამრღვევ მხარეს დაუდგინოს გონივრული ვადა ვალდებულების შესასრულებლად და ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ დამატებითი ვადის მიცემის გარეშე:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ ან მეტჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

გ) სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოს მიერ ნამახვანის ჰესის პროექტის შეჩერების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების 9.5. პუნქტის „გ“ქვეპუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შეწყვეტის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება.

9.10 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან შეწყვეტიდან 2 კვირის განმავლობაში განახორციელონ საბოლოო ანგარიშსწორება და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ჩაბარება.

9.11. ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან, თუ ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 1 თვეზე მეტი ვადით.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 11. კონფიდენციალურობა

11.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ყველანაირი ინფორმაცია და მონაცემები, მოთხოვნილი ან მოპოვებული მის მიერ, დაკავშირებული სამუშაოებთან, ხელშეკრულებასთან და მის შინაარსთან ითვლება კონფიდენციალურად, შენახული და დაცული იქნება მის მიერ საიდუმლოდ და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მის შემდეგ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ უნდა იქნეს გამჟღავნებული რომელიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების მხარეს, გარდა:

11.1.1 როდესაც ამას მოითხოვს რომელიმე სამართლებრივი პროცედურა ან სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულოა მხარისათვის;

11.1.2 გარანტისა, რომელმაც უნდა გასცეს/გასცა ხელშეკრულებაში მოცემული გარანტიები, ამასთან ინფორმაცია უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გარანტიის მისაღებად საჭირო აუცილებელი შინაარსით;

11.1.3 იმ შემთხვევისა, როდესაც ნებისმიერი მონაცემი ან ინფორმაცია მხარისაგან დამოუკიდებლად ხდება საჯაროდ ცნობილი.

11.2 საიდუმლოს გამჟღავნებად არ ითვლება, თუ აღნიშნულზე წინასწარი წერილობითი თანხმობა განაცხადა შემსყიდველმა იმ პირზე მითითებით, რომელსაც უნდა გადაეცეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა დაიდოს წერილობით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

## 13. უფლებების გადაცემა

13.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

13.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

## 14. ხელშეკრულების ღირებულება და მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერიდან და მოქმედებს ----------.

14.2 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

## 15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან ბარდება ხელზე. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე

მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტებზე.

15.2 შეტყობინება მიღებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

## 16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში საქმეს წყვეტს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

16.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 17. დამატებითი პირობები

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და გადაეცათ მხარეებს.

17.4. ხელშეკრულებას თან ერთვის შემდეგი დანართები:

## 18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**სს „ნამახვანი“**

ფაქტ. მის.: ნ. ბარათაშვილის #8, სართ. 4
საიდენტიფიკაციო კოდი: 406062503
ბანკი: სს “ლიბერთი ბანკი”

ანგარიშის # GE28LB0114164072559000

ტელ: 595145533

გიორგი ჩაჩიბაია

# 4. დამატებითი ინფორმაცია

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია საკონკურსო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ნ.ბარათაშვილის №8, მე-4 სართული. საკონტაქტო პირი: აკაკი კეჟერაშვილი 599 88 05 11.

იხ. ტექნიკური დოკუმენტაცია, ატვირთული ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) წინამდებარე განცხადებასთან ერთად, რაც წარმოადგენს საკონკურსო წინადადების განუყოფელ ნაწილს.

# დანართი №1 აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ შემდეგს:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ დააკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების
- დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

---

*საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.*
*თანხმობა*
*სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებლივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლის შესაბამისად.*

კონკურსანტის ხელმოწერა ----------

# დანართი №2 რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: | |
| ხელმძღვანელის სახელი და გვარი: | |
| პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | |
| პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: | |
| ელექტრონული მისამართი: | |
| ანგარიშის ნომერი: | |
| საკონკურსო წინადადების ფასი: | |

--- ---

(თანამდებობა) (ხელმოწერა)

ბ.ა.

# დანართი №3 ხარჯთარღიცხვა

| საპროექტო მომსახურების დასახელება | საავტომობილო გზების და ხელოვნური ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, ლარი | | |
|---|---|---|---|
| | | საპროექტო ღირებულება<br><br>% | |
| 1 | 2 | 3 | 4 |
| წარმოადგინოს წინასწარი მოსაზრებები, საპროექტო გზის სავარაუდო მიმართულებების ყველა შესაძლო ვერსიებით და მათი მოკლე დახასიათებებით (ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით) | | | |
| წარმოადგინოს პირველადი ანგარიში, სადაც განსაზღვრული და შერჩეული იქნება სხვადასხვა ვერსიებს შორის 2-3 უკეთესი ვერსია, შესაბამისი ზოგადი ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური ანალიზებისა და შედარებების საფუძველზე | | | |
| საბოლოო ანგარიში | | | |
| | | | |

--- --- ---

(ხელმოწერა) (თანამდებობა) (პრეტეტენდენტის დასახელება)

---

(ბეჭდის ადგილი, მისი არსებობის შემთხვევაში)

# დანართი #4 ხელშეკრულების შესრულების უპირობო და გამოუთხოვადი გარანტიის პირობები

1. გარანტი უნდა იყოს ლიცენზირებული ბანკი ან სადაზღვევო კომპანია.
2. გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი.
3. ბენეფიციარს უფლება ექნება მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს გარანტისგან უზრუნველყოფილი თანხა, ყოველგვარი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე.
4. გარანტიის ვადამდე შეტყვეტის პირობები: ა) გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში, ბ) ბენეფიციარის მიერ გარანტირებულ უფლებებზე უარის თქმა და გარანტისთვის გარანტიის დაბრუნების შემთხვევაში.
5. საგარანტიო თანხა სახელშეკრულებო ფასის 3 %;
6. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელშეკრულების როგორც ძირითადი ვალდებულებები, ისე ნებისმიერი, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება (მათ შორის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნებისმიერი დავალიანების გადახდა);
7. გარანტიის მოქმედების ვადა - გაცემიდან სამუშაოების საბოლოო ჩაბარებიდან დამატებით 30 დღე.